ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 18 მაისის სხდომის

ოქმი #5

2021 წლის 18 მაისს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 28.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. მეცხრე სტუდენტური საფაკულტეტო კონფერენციის ვადების განსაზღვრა;
2. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – მეცხრე სტუდენტური საფაკულტეტო კონფერენციის ვადების განსაზღვრის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. განმარტება კონფერენციის ჩატარების ვადების შერჩევის შესახებ გააკეთა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან ასევე აღნიშნა, რომ ამავე პერიოდში მოხდება დოქტორანტების სემინარების და სამეცნიერო პროექტების მოსმენაც.
   ბატონმა რამაზ ხომერიკმა დამსწრეთ შეახსენა, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე კვლავ იქნება დეკანის პრიზი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის გამორჩეული სტუდენტისათვის. კერძოდ, ისევე როგორც წინა წლებში, შეირჩევა ერთი სტუდენტი და დაჯილდოვდება დეკანის ფულადი პრიზით (თანხა გაიცემა დეკანის პირადი ხელფასიდან).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ზ.სეფერთელაძემ, ბ.თუთბერიძემ, ნ.დორეულმა, ვ.ტრაპაიძემ. ფაკულტეტის დეკანმა გააკეთა განმარტება, რომ კონფერენციის ფორმატის შერჩევა დეპარტამენტების პრეროგატივაა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მეცხრე სტუდენტური საფაკულტეტო კონფერენციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: მეეცხრე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარდეს 2021 წლის 1-8 ივლისს.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება. საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იყო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემები ხელმძღვანელების მითითებით, ყველა დეპარტამენტიდან. სადისერტაციო დარგობრივ კომისიაზე განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, ასევე წარმოდგენილი იყო სადოქტორო ნაშრომების თემები და შესაბამისი ხელმძღვანელები (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ზ.სეფერთელაძემ, ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემები და შესაბამისი ხელმძღვანელები (იხ. დანართი 1).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე – მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო შემდეგი საკითხები:

ა) ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ორი ახალი თანამშრომლის დამატება (დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე);

ბ) სასწავლო კურსში ცვლილების შესახებ (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე).

ა) დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის, ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის, ბატონი შოთა მირიანაშვილის განცხადება ინსტიტუტში ორი ახალი თანამშრომლის (დავით მაჭავარიანი, ნუგზარ შავთვალაძე) დამატების შესახებ, ანაზღაურების გარეშე. წარმოდგენილ იქნა სათანადო დოკუმენტაცია. საკითხი განიხილა სტრუქტურული ერთეულების კომისიამ და მისცა თანხმობა, რომ დ.მაჭავარიანმა დაიკავოს უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიცია ამ ინსტიტუტში, ხოლო ნ.შავთვალაძემ - მეცნიერ-მკვლევარის პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

ა) **დაადგინეს:** საფაკულტეტო სტრუქტურული ერთეულის, ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიას დაემატოს ორი თანამშრომელი - დ.მაჭავარიანი და ნ.შავთვალაძე, შესაბამისად, უფროსი მეცნიერ-მკვლევარისა და მეცნიერ -მკვლევარის პოზიციებზე, ანაზღაურების გარეშე.

ბ) საკითხი პროგრამული ცვლილების შესახებ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. ცვლილებები შეეხებოდა მათემატიკის დეპარტამენტის საგანს -

„რიცხვითი ანალიზი I”, რომელშიც შუალედური გამოცდის შეფასება 20 ქულა უნდა შეიცვალოს 30 ქულით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებას სასწავლო კურსში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

ბ) დაადგინეს: მათემატიკის დეპარტამენტის საგანში „რიცხვითი ანალიზი I”, შუალედური გამოცდის შეფასება 20 ქულა შეიცვალოს 30 ქულით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი